



# ლაქტი



№ 17

კვირა, 29 იანვარი.

ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოგზავნა შემდეგის აღმართით: Тифлисъ Мухоморова 12, для журнала „ЛАКТИ“.

ფასი 5 კაპ.

№ 17



კალაოკა სოფლად, — ნახატი კ. ქავთარაძისა.



### სიცილ-ტირილი

დრო წავიდა, ჟამი დადგა  
იუდასგან დალოცვილი,  
ძმა ძმასა ჰკლავს, შვილი დედას,  
ამ დროს დედას აქვს ტირილი.

ყველა ხარობს, ყველა მღერის,  
ქალი, კაცი, თანაც ჩვილი,  
ძმა ძმას ჰკოცნის, შვილი დედას,  
მაგრამ მამას აქვს ტირილი.

მუშა ბედს ჰგმობს, იწყევლებს,  
რად გაუჩნდი მამას შვილი?!  
სტირის, მოსთქვამს მის გაჩენას,  
მაგრამ დედას აქვს ტირილი.

ალარც შიან, არც სწყურიან,  
დროზედ მისცეს თვისი წილი,  
კოტა დათბა მამდარია,  
მაგრამ მდიდარს აქვს ტირილი

მოატყუა... გაეპარა...  
და დასწამა უღვთონ ცილი,  
არც მოჰკლა და არც აჩინა,  
აუტეხა მას სიცილი.

შერიგდნენ და დამეგობრდნენ  
გაიჩინეს ღვიძლი შვილი,  
აირია ერთმანეთში  
ხან ტირილი,—ხან სიცილი.

ქ-ანი.

### ოჯახში გამეფდა

მზე ის იყო იწურებოდა, მისი ჩამა-  
მამავალი სხივები ქვეყანას ემშვიდო-  
ბებოდნენ და ოდნავ მოჩანდნენ,  
დიდრონ მთებს ეფარებოდნენ. ფრი-  
ნველებს ერთი ყრიაბული იყო  
ატეხილი, ყველა ღამის სადგურს  
ეძიებდა, ყანიდან მუშები აშლილი-  
ყვნენ და სიმღერ-სიმღერით სახლი-  
საკენ მიეშურებოდნენ, დღით დაღ-  
ლულ-დაქანცულნი. აგერ საქონლის  
ბლავილიც მოისმის და მწყემსი სა-  
ხლისაკენ მიერეკება...

— დედა, დედა, წყალი მომე,  
პირი მიშრება... — წამოიღულღულა  
ლოგინიდან ავადმყოფმა.

— ეხლავე შენ დაგენაცვლოს  
შენი დედა, ასე რაზე შეკრთი, განა  
ა... გრძნობ ჩემო შვილო ბუნება  
რა ზიამშია? ირგვლივ არი-მარე ხა-

ვერდის ფრა ბიბინებს, ფრინველე-  
ბი გალობაში ერთი-მეორეს ეცალე-  
ბიან. შენ ჩემო ელენე განა არ გი-  
ყვარს ფრინველები?... დიახ ყოვე-  
ლისფერი ხარობს, ნეტარობს, აი  
ხომ გესმის მუშების ხმა, ერთის წუ-  
თით ისინიც ხარობენ და სიმღერ-  
სიმღერით მიეშურებიან სახლში,  
ერთს წუთში მათაც დაუვიწყიათ  
თავიანთი მწარე ხვედრი და სიხა-  
რულს ეძლევიან... შენც... შენც  
ჩემო ელენე გაიხარებ, როცა მორ-  
ჩები, მიეგებები შენს მშობელ მხა-  
რსე სიხარულით და ისიც ვარდ-  
თაიგულით დაგიხვდება... მოგვალე-  
რსება...

— მე... მე... ღვთისაგან მოძუ-  
ლებულს... განა... ოხ, დედა!!  
წყალი... წყალი... გული მიმძიმს...  
სული მეხუთება... განა მე მოვეს-  
წრები იმას, რომ... ჩემი სამ  
შობლო — აყვავებულ-ახავრდებულ  
ვნახო?... ვერა, ვერა... დედა... ჩემი  
ღღეები უკვე დათვლილია... ეხლა  
მე იმაზე ვფიქრობ, თუ იქ როგორი  
ცხოვრება იქნება... თუმცა...

— სად იქ?..  
— საიქიოში... საიქ...  
— რა სთქვი ელენე, რა?... განა

არ გეცოდება შენი აღზრდელი დე-  
და?... განა ღმერთი არ ხედავს ამას?  
არა, არა შვილო, შენ ჯერ ახალ-  
გაზრდა ხარ, ნორჩა... ჩემი ერთად-  
ერთი ნუგეში ელიკო... ღმერთი  
არ მოგვიძულებს, ღმერთი. ის ძლი-  
ერია, ვენაცვალე მის სახელს... ის  
კვლავ გაგკურნავს, კვლავ ნახავ  
გაზაფხულს, შენს ტურფათ აყვავე-  
ბულ ეზოს... მიდადმოს, ის შენ  
გელის... მოუთმენლად გელის...

— არა დედა... მე ყველაფერი  
დავკარგე... მამა... ძმა... ჩემი ერ-  
თად ერთი ძმა, და ამ ბოლო დროს  
კი—ჩემი სატრფოც... დიახ, ოჯახ-  
ში გამეფდა... გაჰქრნენ... სადღაც  
შორს განისვენებენ და მე კი აქ?  
არა... არ დედა, მე უნდა ჩავეკრა  
გულში მამას, ძმას... სატრფოს.  
მშვე... თ, მშვიდობით დედა...  
მშვიდ... ოჯახში გამეფდა...

— არა შვილო... შენ იქ ვერ წა-  
ხვალ... მე.. მე.. წავალ... დასა-  
ხოდა ელენეს გაცივებულს გვამს  
დედა, მაგრამ პასუხს კი არავინ იძ-  
ლეოდა...

— შვილო ელენე?! შვილო ელე-  
ნე?!—მოსთქვამდა თავ-პირ დაკაწ-  
რული დედა და ბანს აძლევდა სახ-  
ლში შემოქრილი ქარი ზუილ-ზუი-  
ლით

გათენდა. მზემ თავის სხივები აქეთ-  
იქით მოჰფანტა. ფრინველები აიშა-  
ლნენ ბუნება გაზაფხულის მშვენიერს  
სივრცეს წარმოადგენდა. ყველგან  
სიხარული და კისკისი მოისმოდა...  
მხოლოდ ელენე კი სდუქდა, მის  
ფერმკრთალ სახეს სანთლის შუქ,  
დასცემოდა. მხოლოდ სიჩუმეს დრო  
გამოშვებით დედის კენესა არღვევდა.  
ის ოჯახში გაიფედა...

### ს. კულაშელი.

\* \*

დაჰქრის ქარი!.. ბაღში ვარდებს  
ანადგურებ და მის ფოთლებს  
აწვენს, ძირს ჰყრის...  
სწუხს, შრიალებს ტყე ბებერი,  
და ნაკადი გულ-ნამგერი  
მწარედ სტარის!..

იქ კი,—გაღმა, ბუმბერაზ მთებს,  
მზე ამაყად სჭვრეტს, ანათებს,  
სხივებს სტყორცნის;  
და ღამით კი ბადრი მთვარე,  
შუქ-ნათელა, მოელვარე,  
პირს უკოცნის!..

და ამიტომ იქ ბუნება  
ათას ფერად იქარგება,  
ყვავის, ხარობს...  
აქ კი,—წვიმა, სულ ავდარი,  
თოვლ, ქარ-ბუქი და ზამთარი  
მეფობს, მყარობს!..  
დ. საქარელი.

### ნაწყვეტი

მე ის ვნახე... ვნახე ერთს წუთ-  
ში და გაჰქრა... გაჰქრა ვით მოჩ-  
ვენება. მარტოობა ვიგრძენი... დავ-  
ლონდი... ჩემი გულის ფიცარი სუ-  
ფთა იყო, დაუწერელი, ვით მარმა-



რილოს ქვა. ეხლა კი, რას ვხედავ...  
ზედ სისხლის ასოებით აწერია:

„იღარაჟე, მე ისევ მოვალ“.

გული მელევა, მოთმინება მეკარ-  
გება... ის ისეთი ბრწყინვალე, მხუ-  
რვალე, ნათელი რამ იყო, რომ არ  
შემიძლია მისი მოშორება, ხან-  
გრძლიობა, უნახაობა.

„იღარაჟე, მე ისევ მოვალ“.

ენა მებმის, მხედველობა მეკარ-  
გება, სმენაც შესუსტდა, მკლავიც  
მოდუნდა...

იმ დროს კი არ ვიყავი ლალი,  
შეუპოვარი, მძლეობა-მძლე, მეტყვე-  
ლი, ყურ-მახვილი, ქვეიანი დარბა-  
ისელი...

„იღარაჟე, მე ისევ მოვალ“

როდემდის?!

დასუსტებულს, დაკნინებულს,  
მშიერ-მწყურვალეს, უსახლკაროს,  
უფლება აყრილს, რომ გამამეპაროს  
მისი მოსვლა?!

„იღარაჟე, მე ისევ მოვალ“

კ—შვილი.

### ჩემს მუზას

როდესაც მსურს რომ გავსდევნი  
მუდმივ მღრღნეო სევდა გულისა,  
და მის ნაცვლად ნეტარების  
სხივი მოხვდეს ჩემს ძველ წყლულსა!

მაშინ ვიხმობ ჩემსა მუზას

ჩემს კალთის ქვეშ დამალულსა,  
და ოცნების რაშხედ მსხდარნი  
კვლავ განვაგრძობთ სიარულსა.

ხან ცის ზღუდეს გავეკვრებით,  
გავეცნობით ვარსკვლავთ კრებულს,  
ხან ზღვის ტალღებს ვაძლევეთ თავსა  
ქართ-გრიგალთგან აზვირთებულს.

იმ დროს მეც და ჩემი მუზაც  
ვკრძნობთ დიდს ლხენას ადტაცებულს  
თვით ეს ლხენა წამლათ ხდება  
გულს სევდებით დავადებულს.

მაგრამ ოდეს სახლში მოვალთ  
თვალს მოვაფლებ ირგვლივ არც,  
ყურს დაუგდებთ მშრომელ ხალხის  
ტანჯვა-კენესა სიმწუხარეს.

მაშინ მეც და ჩემი მუზაც  
მივეცემით ფიქრთა მწარეს  
და ჩვენ მოძმის ტანჯვა-კენესით  
ცრემლებსა ვღვრით ორავ ცხარეს.  
ნ. გურჯანელი.

### ცრუ ლექტორს

„პარუნ“ იშხანიანს.

უმორჩილესადა ვსთხოვ  
„ლახტის“ დიდებულებას,  
ნუ გაგვიზომ-ავგიწონს  
რწმენა მიმართულებას  
და ადგილი დაუთმოს  
ამ პატარა თქმულებას,  
რადგან ვერ ავცდენ-ვართ  
უხიავ იძულებას...

მეტათ არ გაგვიმწარდეთ  
ძვარფასო რედაქტორო,  
ხელში ლახტის მპყრობელო  
ყარამანის თანასწორო.  
მოგეხსენებათ ჩვენში  
ცრუთ რომ მოციქულობენ,  
ჩვენს სრულს დამცირებაზე  
„ლექციებს“ კითხულობენ.  
შინაურ-გარეულნი  
სახლ-კარს გვინადგურებენ...  
ჩვენს წარსულს და მომავალს  
ზიზლით გვიბინძურებენ!..  
ამ დროს ჩვენს ჰეროს ტრატეს,  
მოჰყვა სხვა უბადრუკი;  
ხელში უპყრია ნაღარა.  
სტვირი, დაფდაფი, ბუკი  
და ამ ცრუ საკრავებზე  
თავისს ყალბ ხმებს ამღერებს;  
ჩვენს არარაობაში  
მთელს ქვეყანას აჯერებს...  
აი ამ ვაჭბატონსა  
მინდა რამ მოვახსენო  
და თავისს შეცდომაში  
სინამდვილე ვაჩვენა!..

პლუტო „კულტუროსანო“,  
„პარუნ“ იშხანიანო!  
ჯანდ-ბურუსის ამტახო  
ლექტორო ხრინწიანო.  
შენი ცრუ ლათაიით  
ვინ გსურს დააზიანო?..  
მერწმუნე ვინც რასაც სთვს,  
იმას თვითვე მკიანო.  
ბრძანებთ: „ნეტა რას იქლით  
თქვენ, — ქართველნი ძველადო,

რომ ჩვენ არ გაგჩენოდით  
კულტუროსან მცველადო.  
ბევრი რამ გექნებოდით  
დღეს გულ-დასაწველადო,  
და ისე დარჩებოდით  
ვით პირუტყვი ველადო!..  
თქვენში შემოვიტანეთ  
სომხებმა შეძლებო,  
თქვენს სოფლებს ჩვენ მოვფინეთ  
დიდი განათლებო,  
არვის გავაბედვინეთ  
თქვენზე ხელის ხლებო.  
თორემ თქვენ მოგელოდათ  
სხვებთაგან აკლებო. .  
ეს. . ისეთი „ფაქტია“  
რომ არ მოიშლებო“...  
ვიცი ეგ თქვენი გულა  
გაბერილი რითია...  
ეგ თქვენი ფართი-ფურთი  
ყალბი პირ-იქითია!..  
შენი ჩმახვა, ლაქლაქი  
ფურთხ-ტალახის ღირსია,  
ეგ ცრუ ტვინის ღიტინი  
მხოლოდ დროებითია!..  
ვიცი ისიც რაცა ხართ  
და ძველად რაც იყავით,  
საქართველოს ესტუმრეთ  
უმანკო ბატკნის ტყავით;  
ჩვენ ვერ მივხვდით მაგ ტყავში  
რა სტუმრებიც იყავით,  
ამიტომ ჩვენი სუფრა  
შუაზე გაგიყავით...  
საქართველოს მეფეებს  
შინა-ყმათ ეახელით,  
მიწა წყალი ხარისხი  
მათგან არ დაიკელით,  
ქონებას და ღირსებას  
გაძლევედათ თვისის ხელით.  
ამის ნაცვლად ჩვენ თქვენგან  
რა სიკეთეს მოველით?!  
მას, რომ სასწორო-საზომით  
სოფლები აიკელით!?  
ოსმალთაგან დევნილნი  
ქართველთ, რომ შეგიფარეს,  
თვისთ ფრთეთა ქვეშ მიგაღეს  
სიო არ მოგაკარეს  
თვით კი თქვენი დაცვისთვის  
სამზღვრებზე სისხლი ღვარეს,—  
მიტომ რომ მოელოდნენ  
ბოლოს თქვენგან სიმწარეს?!  
არა! . იშხანიანო,  
ნუ ხარ კბილთა ღრქენითა  
ორ ერ შუა ყბელობით  
ღვარძლს ნუ სთვსავ ენითა!..  
ნარმანიძე.



# დილის სიოვ...

დილის სიოვ, მწვანე მდელოს დაუქროდე, დაუბერე;  
 გაატრახლე მთვალე სახეარო, შეგების ქანგზე დაუბერე.  
 თმა დაჯარცხნე სწვანე ჯეჯილს, ააზვართე, აათრთოდე...  
 ნუ მისწვევტავ სუკმუსტ მარცვლებს... ხმა მის შრიალს აყოდე.  
 ტვის ჯურღმულში შეიჭერი, იქ სად მეფობს კუზრის დამე.  
 სად ვერ ტექტობს, ვერ ნავარდობს სხივთა ჭვადი მოკამკანე.  
 დაუსტვინე ღამის მკოსანს უღორტს კლანჭებით, რომ ეხვევა  
 და ახარე: ნუ შედრეკები... მხის სხივები შენც გაწვევა:  
 დაიმდრე, აშეტვევდე... შეგების სიმებს ჩამოჭკარი;  
 სისარუდით მართე არე... შეგებაც გულები ჩააკარი.  
 ვით მკოსანი, მხარებელი, ნეტარება აძნე მამეთ...  
 ახლო არის განთიადი... ერთმანეთთა გადაჭკორნეთ!...  
 ესლა სიოვ... მადლა წადი... აუარე მთელ მსოფლიოს...  
 ზარს ჩამოჭკარ სამრეკლოზე, რომ ქვეყნა გახვიოს  
 ღად-სინდრულით ახთრთოღსა შეგების ალში... შეგების ალში  
 და ახარე: „განთიადი შენი არის მამავალში!“

3. ქარქაშაძე.

## საწვევები „ღონ-ქუანიღან“

(თარგმანი)

...სიყვარულა! თუმც წყარო ხარ ყოველ სიავის, ჭირთა მდებო,  
 მაგრამ მაინც, — ჭოი, განებავ! — სატანად არ ჩათვლებო!

...ფრმას იტარებს აღთარზადი, აღტარებით მას შესტქერის;  
 ბედლს სიბინავს ნეტარ ძილთ, ხერხინავს — თითქოს ნაზად მდერის;  
 ასკეტობის ძველ ტადრში ციურ ქანვთა მისასმენად,  
 და არაბი სტუმრებს იწვევს, — ზეიმს მარათავს მათ სასხეულად...  
 ბუნებურ არ ის მხედრო, რომელმანაც მტერს სიღნა ტუგია  
 და მტრის დროშა ძველს ნიშნად გამარჯვებულს ხელთ უბერია!  
 ბუნებურ არ ის ბეწი, რომელს ხელთ უბერია სავსე ყუთი,  
 ფუღს შეხარის, მას ღოცუდობს მისგანვე დახსურბო...  
 მაგრამ უფრო ბუნებურად სიყვარულს ვრაცხ, ოდეს სატრფის  
 სტერტის ის მიხარს და ეუფლებს — სკორნელად დაქვითოს!..

...სიყვარულა, სიყვარულა! ცეზარს ვუხმობ შენს კლიენტათ,  
 ტიტუს — ბედალთ და გორანის — შეხს მოწაფეთ, შენს სტუდენტად!  
 ოვიდს ვუხმობ — მასწავლებლათ და პომპეის — მონათ წმინდათ,  
 და სეთუო ხომ შეხს ბრტყელებში გადაიქცა შენს ჯურჯ წინდათ!..  
 ...სიყვარულა! თუმც წყარო ხარ სიავის, ჭირთა მდებო,  
 მაგრამ მაინც, — ჭოი, განებავ! — სატანათ არ ჩათვლებო!

ყოველიმც ქმნილი შენ გემონვის, სხვა ყოველი ითაწუნეს...  
 შენ ხარ შოლტი იმ პირთ, რომელ ეს მსოფლიო შეაძრწუნეს,  
 დიდებული ველიზარი, ცეზარიუს და ანტონი —  
 ჭა, მხედრები და გომრები, გმირულ საქმით თავ-მამწონნი!  
 მათთა ყოველ გასაცარ გამარჯვებებს, — როგორც ვიცით, —  
 ხსნიან იმათ ძველ-მოსილ და ზეგარდმო მადლ ნიჭით!..  
 და მით გაყენ ერთმანეთსა, — დაფისროთ ესე კარგათ, —  
 რომ სამთავე გმირნი იყვნენ, რომ სამთავეს... შეუყვარდათ!..

...სიყვარულა! თუმც წყარო ხარ ყოველ სიავის, ჭირთა მდებო,  
 მაგრამ მაინც, — ჭოი, განებავ! — სატანად არ ჩათვლებო!

ხევ. მუსხრიაძე.

# მილის ბრალია!

(სცენა)

ჩემდა საუბედუროდ უბრავეში გი-  
 ახელით გუშლამ სულ პაწე საქმეი-  
 ზა; ტენიკი მინდოდა წამეყვანა,  
 რაცხა ორი კვალი მიწა მაქვს, მინ-  
 დოდა გეგზომა და ჩემდა შემომეკა-  
 ვებია ჩემი იმენია, შესვლით აღრე  
 შევედი, მაგრამ გამოსვლით კი ვე-  
 ლარ გამოვედით ვერც მე და ვერც  
 ტენიკი. უყურე, უყურე მარა შუ-  
 აღლის პირველი საათი შეიქნა, ვინ  
 გამცემს ხმას! ძილიც მომეკიდა, ჩა-  
 ვგლიჯინდი ძირს და კარის ჩინოვ-  
 ნიკს ვუთხარი, ჩემო ძამიე მეთქი,  
 აქანეი ტენიკმა თუ გამეიაროს, გა-  
 მალვიე მეთქი. მეც მიმეძინა. მძი-  
 ნავს და მხვრინავს, ვხვრინავ და  
 მძინავს; მე რა ვიცი, თურმე მარ-  
 თლა მძინავს.

გამომეღვიძა, წამოვშვი ზევით,  
 გვეხედ-გამევიხედე, კეკალი კაცი  
 არ ქანობს, აღარც იიი კარის ჩი-  
 ნოვნიკი. წავატანე ქუდს ხელი. მა-  
 რა რაცხა აფართხალდა მუცელში.  
 ვიფიქრე მომშივებია და მუცელში  
 რველიუცია დაუწყია წელებს მეთ-  
 ქი. შევარდი სამიკიტნოში, გამევი-  
 ზიხნე ჩილინგაროვის ძაღლივით;  
 წამოვდექი თუ არა კილონ აფართხა-  
 ლდა, გავარდ-გამოვარდა. ვაიმე ნე-  
 ნავ, ახლა კი ვკვტობი მეთქი, გავა-  
 რდი დაღუღრული ძაღლივით ექიმ-  
 თან. გამიხსნა ბლუზის ღილი, და-  
 მადვა ღვინის ძაბრი და დეიწყო  
 ოხვრა და წუწუნნი: გახურებულს  
 გულზე ცივი წყალი დაგილევია და  
 ძარღვეები შემინებულა, გული გა-  
 ფუტებულაო. ნენავ, ავი წყალი ქე  
 დავლიე მარა მუცელი მანამდის ხვა-  
 ნთქალობდა. გახურებული გული  
 რავაა, გემნაზისტკა კი არა ვარ შე-  
 ყვარებული მეთქი. არა შენ ქე ხუ-  
 მრობ და ეს დიდი მავნებელია კა-  
 ცის გულისთვისო და შეუდგა რე-  
 ფტეზიის წერას. გულიც შენ დაგი-  
 სნეულდა და სულიც მეთქი, წამოვ-  
 შვი ზევით, ერთი კაისაგან კაი ძღვე-  
 ნი მივართვი იმ მოტვლებილს თავ-  
 ზე და კარში გამოვხტი.






ალარ დამიდგა სული, მივარდი მორესთან. როგორც ავაბიჯე პწკალაზე ფეხი, ახვანთქალდა, ახრიგინდა; ვიფიქრე გამოგლეჯს და გამოვარდება მეთქი. მევიჭირე მუცელზე ხელი და მოვრთე ამერიკანულ პოვეზლივით ბლავილი. გევიხედე, გამორბის ავათმყოფი, კარგათ მყოფი, წამავლეს ხელი, შემათრის ზევით, გამიხსნეს ღილი, დამადგა ძაბრი და თავის ქნევით მითხრა: შენ ჩემო ძმაო, კიბო გქონია მუცელში და დანძრეულაო.

ვაი ნენავ, კიბოც შენ გაგიჩთა და გველაშიპიკ მეთქი. ერთმ თქვა: ცივი წყალის ბრალიაო, მეორემ კიბოსიო, მესამე კილონ გველაშაპს იტყვის. მე თქვეხ და სამსხვერპლოთ გავზენილვარ მეთქი. ნუ ცხარდები ძმაო, ამას აპერაცია უნდა, ამოვიყვან იმ კიბოს და განახვებთო.

ავიდა როინდელი შემძვრალია აი კიბო მეთქი? ეს აპერაციის შემდეგ ვაიგებაო. ასე აშენდა თქვენი ოჯახი, რ.რ.მ თქვენ თავი არ დაგადრიჯნით მეთქი. გამოვხტი გარედ გლიჯინ-გლიჯინით, წამევედი პწკალაზე.

შემხვდა ერთი ამხანაგი. ბიჭოს კოსტაიავ, რაფერაა შენი საქმე, ნასტარში ხომ არ წავიგიაო. არა ძამია, რა დროს ხუმრობა არის მეთქი, კიბო მქონია მუცელში, გარბის და გამორბის ბუზარიან ცხენით მეთქი, ექიმმა მითხრა აპერაციე გინდაო. არიქა ბიჭო ხირურგთან მე მივიყვანო და წამავლო ხელი. მივედით ხირურგთან. გამხადა ბლუზი, მებდღენა ხორცზე, ავარდა-დავარდა, ისთე გამწარდა იი ბალან დასაწვავი, რომე გონია სამსაქენზე დახტოდა. წაატანეს ზევითურ საცვალს ხელი, გადვირიე თლათ. ნელა ბატონო, გონია გამოიმძვრალა მეთქი. „ტიშეო“ მითხრა, ამოკრა უცებ ხელი, „წრიპო“ დეიძახა და პოლზე ხრეგვა მოადინა. ავია შენი კიბოვო? დამიყვირა ერთმა ქართველმა თეთროსანმა. ნენავ, რავა, მაი თავი ყოფილა და თქვენ კიბოთ აქციეთ და მე რეიზა მიყვირით მეთქი.



ვაჟა-ფშაველა და დ. კლიაშვილი, კვიციანიის წიგნის მაღაზიაში, ქ. ქუთაისში.

„მაღჩი დურაკ, სკატინაო“ მიყვირა ულვაშ გარკინებულმა თეთროსანმა და გარედ გამიძახა. ახლა არასფელი არ მინდა ერთი ხელში ჩამიგდოსის კარის ჩინოფნიკი, რომე ამ ჯინიან გულზე ერთი კარგა ვბრიგვო. **ლიკლიკიანტი.**

**ძესტვირული**  
(გორჯოჰისთვის).

სამგზავროდ მოვემზადები, ჩემი გულა და სტვირითა, თორემ მეყოფა, მესტვირეს, რაც დრო ვატარე ძილითა. მოვალხენ ცნობილ გამირებსაც ჩემი სიმღერა ტკბილითა, ხათასაც გადავიკიდებ ამა უქირო ქირითა. ვაგზლის ბუფეტსა დავხედამ, მისი „ცნობილი“ გამირითა მაქსიმეს რომ უძახიან

ქებული ენა ტკბილითა. შემდეგ მოვკურცხლავ, ბორჯომში, ავარაკათ ვარ წელსაო, ნუ გიკვირთ ერთხელ მოესწროს მესტვირეც ტკბილსა დღესაო. აქაც ვდარაჯობ, ერთგულად, სინდისით სიმართლესაო, თუ შევამჩნიე ბოროტი გადავკრამ ლახტის წვერსაო, რომ იხოკავდეს სიმწარით, თავის ქალას და წვერსაო რომ მოუამდეს იარა დავასევე—კოლო მწერსაო. რკინის გზის „კონდუხტორები“ პარკში მიმავალ მგზავრებსა, უბილეთოთ ყრის ვაგონში შემდეგ აუბნევს დავთრებსა, ცხრა კაპიკი ღირს ბილეთი ეგენი სთხოვენ. მეტსაო მგზავრი იძახის: „არა მაქ



შეხედე შენსა ღმერთსაო“.  
 — არა ვაქი ვერას გრწველის,  
 გაშალე ჩქარა ქისაო,  
 თორემ იმდენსა იგემებ  
 იძახდე დედა ღვთისაო.  
 ბორჯომში კიდევ ბევრია,  
 საცემი ლახტის წვერითა,  
 „გასტინიცებს“ შემდეგ დაუვლი,  
 ჩემი ღიღინა სტვირითა,  
 გუდაც მეჩუტვის, მეც ვწიშობ,  
 ვა თუ ვიცემო მტერითა,  
 კვირასაც მოგველინები,  
 ახალ-ამბავი ცხელითა.

არ. ჯ.

(ჩიბათისტვის)

ყანის მარგვლა მოვათავებ  
 თრახი მივაგდე განზედა,  
 სტვირსა ხელი წამოუსვი  
 გუდაც მოვიგდე მხარზედა.  
 მინდა ჩიბათლებს ვესტუმრო  
 მიუღიღინო ბანზედა,  
 რომ წამოლწყო სიმღერა  
 ბაბუა ჩემს ხმაზედა.  
 თავი ანებონ ღოთობას,  
 რაც უგემური ხილია,  
 თორემ მოხედება იმათაც  
 კეტი შეკრული მსხვილია.  
 რათ სცემს „ეფაიტონეს“,  
 რატომ ააძვრეს სულია,  
 ეტლში რო ჩაბრძანდებიან  
 განა არ უნდა ფულია?!  
 ასეთ ყოფაში ცხოვრობენ  
 ჩიბათის რაინდებია  
 და მათი ვაჟაკობისა  
 გავარდა ყველგან ხმებია.  
 ეხლა ვწორდები ჩიბათსა,  
 უნდა მოგკურცხლო „ღესა“-ში  
 თუ გზაში ღინმე არ დამხვდა  
 და არ მეტაკა ქესაში.  
 ჯერ სამკითხველოს შევხვდავ  
 შემოღობობია ძირია  
 ქერს და იატაკს დათვივით  
 დაუბეჩნია პირია.  
 კედლები შეფერხებულა  
 ქვეშიდან მოდის ხვირია,  
 განა ახლის აგება  
 დაუჯდებოდათ ძვირია?  
 სკამები შიგ არ უდგანან  
 ფეხზედ ვარ განაწირია,  
 მითხარით ვისაც ეხება

არ უნდა უგდოს ყურია\*)  
 აწი მშვიდობით გენაცვა  
 აღარ მცალია მინუტი  
 ხშირ-ხშირად მოგინახულებთ  
 თქვენი ერთგული წკიპურტი.  
 წკიპურტი.

კედე მთვლელები

(გაგრძელება იხ. „ლახტი“ მ-14 №-მ-ი)

ყველამ, რასაკვირველია, თავთავის ალაგი ამოვირჩიეთ და მაგიდის გარშემო ჩამოვმწკრივდით, მაგრამ ჩემ ამორჩეულ ალაგზე როდი დამსევს, წამიყვანეს და მაკროს გვერდზე მომცეს ბინა. განა ამაზე მეტი ბედნიერება სანჭირო იყო ჩემთვის? გული მიცემდა არ დამათრონ მეთქი, მაგრამ ჩემმა ბედმა არ დამტოვა უნუგემოთ. მეორე მხრით მომისვენს ერთი მანდილოსანი, რომელმაც დიდი დახმარება აღმომიჩინა და ხიფათს გადამარჩინა. როდესაც შევჩვიე ჩემი უბედური ხასიათი ღვინოში, მან მითხრა, რომ ღვინის მაგივრად სულ ღიმონადს გასმევო. მართლაც და ვახშამზედ ღვინის გემო დამენატრა.

ტუჩების ცმაცუნი დავიწყეთ თუ არა, შემოვიდა ორი შეზარხოშებული, ჩერქესკებში გამოპრანქულ-შეიარაღებული ვაჟაკი. შევხედე თუ არა ერუანტელმა დამიარა. ვიფიქრე ეხლა-კი მორჩა ჩემი საქმე მეთქი.

თავის ტკივილი მოვიმიხეზე და სახლში წასვლა დავაპირე, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს.

ახლათ მოსულმა იმერლებმა ამათვლიერ-ჩამათვლიერეს, მერე ერთმანეთს გადაჰხედეს. ეტყობოდათ თვალში მოვდიოდი. ვახშამზე ხომ რაღა გითხრაო, სულ ჩემს და ჩემს „საბედოს“ სადღეგრძელოს გიახლებოდნენ. ბევრჯერ დაატოკეს ტუჩები რალაცის სათქმელად, მაგრამ ვერა ჰბედავდნენ.

ეხლა როგორ ნარის ეკალზე ვიჯექი, მკითხველი თვითონ

\*) დავვისახელეთ ვინც არის გულს, რომ ჩაუდევს შურია, გვერდებში „ლახტი“ ვუსტუნოთ პირზედ მოუსვით მურია. „ლახტოსანი.“

მიხედება. თუმცა მე წინდაწინ გადაწყვეტილი მქონდა: ქალის შესახებ მეტყოდნენ რამეს თუ არა, მტკიცე უარი განმეცხადებინა, მაგრამ ამით ხომ ქალს შეურაცხყოფდი? როგორ ამეცილებინა ეს დავი-დარაბა, არ ვიცოდი. ქალს გარეგნული დასაწუნი არა ჰქონდა რა მაგრამ როგორ მეკისრნა? ჯერ ერთი რომ არ ვიცოდი მისი ხასიათი, ზნე-ჩვეულება და მიმართულება, მეორეც გარემოება ხელს მიშლიდა.

უკვე გათენებამ მოატანა და მე კი ისევ „სამეფო“ ალაგზე ვიყავი წამოსკუბებული.

ცოტა ჩურჩულის შემდეგ ნიკოლოზი კარში გავიდა და თან გაიყოლა ეს ჩვენი დედაკაცები. მერე შემობრუნდა და მეც გამიხმო. აივანზე რომ გამოვედი, ხელი გადამხვია და მითხრა:

— იცი, პავლე, ამაღამ უნდა დაფინშო.

— მერე ვინა გყავს ჩემთვის? — ვკითხე მე.

— ვინ და მაკრო. ფულებს ბლომად მოგცემენ, ათასობით, ქალიც ძალიან კარგია, მეტი რა ვინდა? ხოლო შენ ხელი მომეცი და სხვა ჩემ კისერზე იყოს.

— შენ კარგა იცი, მე ფულებს არ დავებებ, და გარემოებაც ხელს მიშლის.

— ბიჭო, ტუტუცი ნუ ხარ, ფულები, ფულები, პატარა ღმერთი!!.

— არ შემიძლიან... თუ ხათრი გაქვს ისევ სხვაზე ვილაპარაკოთ.

— განა შენი ხათრი რომ არა მქონდეს, გვონია მაგ ქალს შენ მოგცემდი? აი ეს მოგიკვდეს თუ ნიკოლოზმა შენთვის ცუდი მოინდომოს, — მითხრა და ხელი მარცხენა ლოყაზე შემომკრა. — მომეცი ხელი.

— არ შემიძლია...

— ხელი მომეცი...

— აჰა, ცარიელი ხელი რათ გინდა, თუ იქაც უარს გეტყვი?

ნიკოლოზმა უცბად ტუჩებზე ხელი ზომამფარა, მკლავში მკლავი გამიყარა და ისევ სახლში შემიყვანა,



დამევა ჩემს ძველს ალავზე, გვერდით მაკროს ძმა და ბიძა მომიხვა, შემდეგ აიღო ჭიქა ხელში და დაიძახა:

— აბა, ვაავსეთ ჭიქები!

ყველა ნიკოლოზისამებრ სავსე ჭიქებით წამოდგნენ ფეხზე, რასაკვირველია მეც ავდექი.

— ალავერდი პავლე!— მომადახა.

მეც ავწიე ლომონადით სავსე ჭიქა და უთხარ:

— ბრძანე, ყურს გიგდებ!— მაგრამ გული კი ფეთქავდა.

— ღმერთმა აღდგვრძელოს ის კაცი, — განაგრძო ნიკოლოზმა, — ვინც ამაღამ ჩვენ ოჯახში ჩაიჩოქებს!

— გაუმაჯორს! — ერთ ხმათ მიადახეს და მე ვადმოშხედეს.

— უკაცრავად, ნიკოლოზ, — უთხარ მე, — მე თქვენი სადღევრძელო ვერ გავიგე და მეორეც მგონი თქვენ ვილაკას შეურაცყოფა მიყენეთ. ჩაიჩოქოს რა აქლემია, თუ კამეჩი?.. გთხოვთ ამიხსნათ რა სადღევრძელოს მირთმევა გსურთ.

— მაშ თუ არ გესმის, — მომიგო მან — ვიტყვი პირდაპირ: ეს ღმერთმა აღდგვრძელოს ჩვენი სიძე პავლე, ესე იგი შენი!

ამ სიტყვებზე სისხლი თავში მეცა.

— კაცო, თუ ხუმრობ, მითხარი თუ არა და ეგ როგორ გეკადრება? მე წელანვე ვითხარი ჩემი აზრი. მე მაკროს ღირსიც არა ვარ. შეიძლება ყოვლად პატიოსანი ადამიანია, მაგრამ გარემოება ნებას არ მძღვეს, ამიტომ ბოდიშს ვიხდი.

ჩემ სიტყვებზე მაკროს ფერი ეცვალა ყველამ უკმაყოფილოდ შემომხედეს, მაგრამ მე არ მეშინოდა.

— ეგ უსინდისობა არის! — დამიყვარა ნიკოლოზმა.

— მაშ პატიოსნება ის იქნებოდა, პირობა მომეცა და აღარ შემესრულებინა? — უპასუხე მე.

მაშინვე წამოვდექ და მივედი ჯერ მაკროსთან ბოდიშის მოსახდელად, მერე სახლის დიასახლისთან, ვსთხოვე გავენთავისუფლებინე.

ელისაბედმა ბოდიში მოჰხადა თავის ქმარს იმ მიზეზით, რომ მთვარა-

ლია და არ გაეგვებოდა რას ჰჩადისო, ბოლოს მითხრა:

— იმედი მაქვს, პავლე, არ დაგვივიწყებთ და კიდევ შემოვივლით.

— სიამოვნებით! — უპასუხე მე, ვითომდა გულწრფელად და გამოვემშვიდობე ყველას. ჩავიცვი პალტო, მაგრამ ქუდი არსადა სჩანდა. ის იყო უნდა მომეკითხა, რომ ელისაბედი ციბრუტივით შეტრიალდა ხაწოლოთახში და იქიდან ღიმილით გამოემირბენინა სურნელოვან წყალ დასხმული.

— თქვენი ქუდი საუცხოვო ალავას იყო დაბინავებული: მაკროს საწოლის ბალიშზე იდო. — მითხრა და თან მაცდურად ვადიხარხარა.

— მეც და ჩემი ქუდიც მადლობას ვიძღვნი პატივისცემისთვის. — უთხარი მე.

დავიხურე თავზე და გარედ გამოვვარდი. ის იყო და ის... იმ ქუჩაზე რაღა ჯანაბა გამატარებდა!

ი. ნაც — ი.

### სუსხიანი ამბები

ამ დღეებში თფილისი ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა სტამბა „შრომა“, რომელშიაც საშინელი სიბინძურე აღმოაჩინა. იპოვეს ახლად დაბეჭდილი ჟურნალ „მათრახი“-ს მთელი წყება და მისი თანამშრომლები. კომისიამ დაადგინა: მოშორებულ ადგილას დასწვას „მათრახი“ და მისი რედაქტორი, რათა ამით ხელი შეეშალოს მოსალოდნელ შავი-ჭირის ბაცილების გავრცელებას. ამავე მოსაზრებით გუშინ ტფილისში ყველა გაზეთის გამყიდველს დეზინფექცია უყვეს.

წარსულ კვირას ხარფუხის „საზოგადო კლუბში“ (საზაფხულო შენობაში) ერთ ცნობილ ლექტორმა მეტად საგულისხმიერო ლექცია წაიკითხა „შულერების“ ცხოვრებიდან. ლექტორმა სთქვა: რომ ჩვენმა საზოგადოებამ — დემოკრატიამ, კლუბების მამასახლისებად უნდა ამოირჩიონ ისეთი პირები, რომლებიც დახელოვნებულნი არიან „კარტო-

ენიკობაში“ და „შულერობაში“. ასეთი პირები „დემოკრატიის“ განვითარებას ხელს შეუწყობენო.

გასულ კვირას, ნაძალადევის თეატრში, მუშათა მომღერალმა გუნდმა მიხ. კავსაძის ლოტბარობით გამართული კონცერტი, საუცხოოდ ჩააფლავეს. მშვენიერი იყო „ბრძანა სოლომან მეფემ“, „კახური მრავალჟამიერ“, „ნანა“ და სხვა. „საუცხოვო“ ხმა ჰქონია მეთორნე ივანიკას, რომელსაც გამოუქვლია ცეცხლის ალში. სიერთოდ ხმები კარგად არის შეწყობილი ერთი ალთას გარბის, მეორე ბალთას. კონცერტი დასრულდა დამის 3 საათზე. ასე რომ კონცერტზე დამსწრე მუშები დეპოს პირველ საყვირის დაყვირებაზე თეატრიდან პირდაპირ სამუშაოდ წავიდნენ. მადლობის ღირსნი არიან ნაძალადევის მცხოვრებთა მამლები, რომელნიც დროზე დაეხმარნენ, რათა კონცერტი კარგად დაბოლავებულიყო.

როგორც ვიცით ტფ ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი საზღვარგარედ იმყოფება „დასასვენებლად“ ამ უტყუარ ამბავს, ზოგიერთებმა კული გამოაბეს და ამბობენ: რომ ალ. ხატისოვი, სხვათა შორის, ქ. რომში ინახულებს რომის პაპს და მოელაპარაკება იმის შესახებ, რომ ქართველი კათოლიკენი სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონზე უნდა იქნენ აღიარებულნიო. ეს ხმესი სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. როგორც ჩვენ ლახტოსან ეშმაკს ვაუგია, ალ. ხატისოვი უნდა მოელაპარაკოს რომის პაპს, მაგრამ იმის შესახებ კი არა, რომ ქართველი კათოლიკენი გადაინათლნენ სომხურად, არამედ იმაზე, რომ სომეხი კათოლიკენი უნდა „გადინათლნენ“ ქართულად.

როგორც ვავიგეთ, ქალაქის გამგეობას თავის ერთ-ერთ მორიგ კრებაზე დაუდგენია: ტფილისში ზოგი ერთი ქუჩების სახელები შესცვალოს. მაგალითად ქავჭავაძის ქუჩას უნდა დაერქვას პეტრუხოვის ქუჩა; ჩერქეზოვისას — ბაღდასაროვისა და სხვა.





ახლახან ევროპაში, მსოფლიო სამეურნეო გამოფენა იყო. ამ გამოფენაზე კახურ ღვინოების ერთ-ერთმა დიდმა ფირმამ, „ანაგამ“ სანიმუშოდ თავისი ღვინოც წარადგინა. როდესაც საგამოფენო კომისიას ღვინის რუბმი გაუხსნია, შიგ აღმოჩენილა დამზრჩვალი ახალგაზრდა ქართველი მწერლები და მსახიობები!.. ამ მართლაც და საუკეთესო ნიმუშისათვის ფირმას უმაღლესი ჯილდო მიუღია.

ხარფუხის სახ. წარ. მმართველ წრის გამგეობას თავის „კრებაზე“ დაუდგენია: ამას წინაღ „სახ. ფურცელში“ მოთავსებულ სარევიზიო კომისიის და 17 სცენის მოყვარის წერილები შესახებ საანგარიშო დავთრების ჩაბარებისა და დაუყოვნებლივ საზოგადო კრების მოწვევისა, დასტოვოს უყურადღებოდ და საყვედური გამოუცხადოს მათ უკანონო ხმის ამაღლებისათვის. გამგეობას ნაადრევად უცენია საზოგადო კრების მოწვევა და ამას გარდა ვერც საანგარიშო დავთრებს ჩააბარებს რევიზიას, რადგანაც დავთარში ბევრი ფურცლები აკლია და არეულ-დარეულია. გამგეობას გადაუწყვეტია მხურვალე მონაწილეობა მიიღოს „ხარფ. სახ. კლუბის“ მამასახლისების არჩევნებში, რომელიც დღეისათვის არის დანიშნული და ეცადოს ვისაც გაშვება მოეღის „სხვა და სხვა მიღებული ზომებით“ გაათეთროს იგინი.

### გამოცანა

(წასტაფონისათვის)

წვრილ-წვრილი და მაღალია ერთი ვინმე რიჟა კაცი, (ვინც მიხვდეთ ყველასა გთხოვთ მიაძახოთ წყეულს „აცი“!)

დაეთრევა და მაჭანკლობს მატყუარა, საზიზღარი; ბევრჯერ იყო, რომ იმაზე ამოიღეს გულის ჯავრი...

მაგრამ მაინც არ ცხვენია და არცა აქვს არვის შიში, სულ თავისას გაიძახის ამოვარდა იმის ჯიში.

თუ გროშები შევამჩნია, ვაი მაშინ შენი ბრალი; არ იფიქრო, რომ მოკუორდეს და გავუღეს რამე ძალი.

მულამ გდევნის, გეუბნება: უნდა შეგერთო კარგი ქალი; მზითევი და ბარგი არ აქვს, ისე კია ქვეყნის თვალი.

რაღას იზამ უნდა წაპყე, დაეთანხმო ნახო ქალი, რომ ეგების მოვიშორო გალეშილი, ღვინით მთვრალი!

არ მგონია, რომ ვერ მიხვდეთ და გაიგეთ სახელ-გვარი; თუ ვერ მიხვდით აქვე ცხოვრობს უსინდისო, უტიფარი!

„-ტი“

### კახური ქ-ნ ლ. ჭყონიას

თქვენ გამომიწვიეთ მე სამღიატორა სამართალში, ვითომც მე თქვენთვის ცილის წამებით და კერძო ინტერესით დავეწვროს. მე დიდი სიხარულით ვეგებები თქვენ წინადადებას. დე, საზოგადოებამ გაიგოს ყველაფერი რწმუნებულათ ვასახელებ ბ-ნ კოკი ებრაელიძეს, ხოლო მედიატორებათ: ბ-ნთ მოსე ჭყონიას და კოტე იმნაძეს. მედიატორების განაჩენი დაიბეჭდება გაზეთში. რაკიკიბ.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნ რედაქტორს „სახელის“ მე-13 ნომერში მოთავსებულია შესტვირული თა-რასი, რამელიც მარჯლებს მუშების სტირებას, და ადგილიდანაც განდევნას. ეს კიდევ ცოტაა, არ მოკრიდა უმართლესთ ჩემ პირფენების მიწასთან გასწორებას და მიწოდ ბორბოტი, შმაგი, ფილი და მეფია. ნათქვამს დამტკიცება უნდა და რადგან ამაში ერთიც არ დამომსახურება, ყველა მისი ბრადება მამჩნია მეტად სიღრუეთ და ჩემის პატრონების ჩირქის მოსაცხებათ განზრახ მოჭარიდა. ამასთვის სიმართლის აღსადგენად ბ. თა რას ვიწვევს სასამართლოში. დეე, პარუთუნელმა სასამართლომ დამტკიცეს ჩემი ტუდ-ჯაცობა და ბ. თა რას სიმართლე. ჩემის მხრივ მედიატორეთ ვასახელებ ვალ. ჭყონიას და მისგანაც მოვითხოვ ათი დღის განმავლობაში დანიშნოს თავის მედიატორები, რომელთა განაჩენი გამოცხადდება გაზეთებში.

სიმონ ფირცხალაიშვილი.



სააგარაკოდ გამგზავრება.